

**Ad hoc arbitration - დროებითი არბიტრაჟის რეგულირებისა და  
ფუნქციონირების სამართლებრივი მექანიზმები**

**გივი ავალიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ფაკულტეტის სამართლის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გივი ავალიშვილი

13.02.2022

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა Ad hoc, დროებითი არბიტრაჟის რეგულირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი მექანიზმები. მიუხედავად 2015 წლის მარტში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, არსებული კანონმდებლობა ad hoc არბიტრაჟის რეგულირების თვალსაზრისით საჭიროებს დახვეწას, რადგან სამწუხარო რეალობაა, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე პრაქტიკულად ვერ აღიქმება საარბიტრაჟო რეგულაციებში და დოქტრინაში მითითებული ad hoc არბიტრაჟი.

აღნიშნულ პრობლემას ასევე ერთიორად ართულებს ის ფაქტიც, რომ საერთო სასამართლოების მიდგომა ad hoc არბიტრაჟის მიმართ ხისტია, ხოლო ad hoc არბიტრაჟის მოქმედება დიდწილად დამოკიდებულია ეროვნულ სასამართლოებზე, განსაკუთრებით, არბიტრების არჩევის პროცედურებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არბიტრაჟის მომხრე სასამართლოების არსებობა, რომლებიც სახელმწიფოს გავლენისაგან თავისუფალია, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, როდესაც დავა ეხება სახელმწიფოს ან მის კუთვნილ კომპანიებს, აგრეთვე რომელიც სპეციალიზდება საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების კვლევა ad hoc არბიტრაჟთან მიმართებით, აგრეთვე ad hoc არბიტრაჟის რეგულირებისა და ფუნქციონირების შესწავლა, საერთო სასამართლოების მიდგომის ანალიზი ad hoc არბიტრაჟთან დაკავშირებით და უცხოური გამოცდილების ფონზე შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

კვლევა წარმოებულია არაერთი მეთოდის საფუძველზე, როგორცაა აღწერილობითი, სისტემური, ნორმატიულ-დოგმატური, შედარებითი მეთოდები. ნაშრომი წარმოდგენილია შესავლის, სამი თავის (თითოეული თავი დაყოფილია ქვეთავებად) და დასკვნის სახით.

საკვანძო სიტყვები: არბიტრაჟი, ad hoc, პროცედურა, მექანიზმი, დროებითი.

## **Abstract**

The present master thesis deals with such an important issue as Ad hoc, legal mechanisms for the regulation and functioning of interim arbitration. Despite the legislative amendments to the Georgian Law on Arbitration in March 2015, the existing legislation needs to be refined in terms of ad hoc arbitration, as it is a sad reality that in our country the ad hoc arbitration regulations and doctrine are not considered ad hoc.

This problem is compounded by the fact that the approach of common courts to ad hoc arbitration is rigid, and the operation of ad hoc arbitration is largely dependent on national courts, especially in the selection of arbitrators. Consequently, it is important to have arbitral tribunals that are free from the influence of the State, especially in cases where the dispute concerns the State or its companies, as well as those that specialize in international commercial arbitration.

The aim of the master's thesis is to study the legislative gaps in the Law of Georgia on Arbitration in relation to ad hoc arbitration, as well as to study the regulation and functioning of ad hoc arbitration, to analyze the approach of common courts to ad hoc arbitration and to draw conclusions based on foreign experience.

The research is based on a number of methods, such as descriptive, systematic, normative-dogmatic, comparative methods. The paper is presented as an introduction, three chapters (each chapter is divided into sections) and a conclusion.

Keywords: Arbitration, ad hoc, Procedure, Mechanism, Temporary.